„ვამტკიცებ“

შპს კანოპი (ს/ნ 405434711)

ფინანსური მენეჯერი

ნინო სიხუაშვილი

შპს კანოპი (ს/ნ 405434711)

ფინანსური ანგარიშგება,სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 202 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩები:

ზოგადი დებულებები 2

ფინასნური მდგომარეობის ანგარიშგება 3

სრული შემოსავლების ანგარიშგება 3

სააღრიცხვო სისტემა 4

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები 4

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 5

ამონაგები მომსახურების გაწევიდან 5

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 5

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები 6

ძირითადი საშუალებები 6

ვალდებულებები და ხარჯების ანარიცხები 9

საწესდებო კაპიტალი 9

დივიდენდი 9

მოგების გადასახადი 9

ძრ საშუალებების და არამატერიალური აქტივების

სასარგებლო მომსახურების ვადები 10

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება 10

<u>სააღრიცხვო პოლიტიკა</u>

ზოგადი დებულებები

შპს კანოპი ს/ნ (405434711) წარმოადგენს ,,მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს შესაბამისად შექმნილ იურიდიულ პირს.

საწარმოს საქმიანობის საგანია:

საბითუმო ვაჭრობა ყვავილებით და სხვა მცენარეებით, კერძოდ კომპანია აწარმოებს ხავისგან დეკორებს.

საწარმოს იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, ზურაბ იარაჯულის 1 ჩიხი, 6ბ

შპს კანოპი (ს/ნ 405434711) სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგ კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებზე დაყრდნობით:

- ,,მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით IFRS: https://www.saras.gov.ge/ka/Ifrs

მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა ძალაშია 2021 წლის 01 იანვრიდან და იმოქმედებს საწარმოს ფუნქციონირების მთელი პერიოდის განმავლობაში.

აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკა შესაძლებელია შეიცვალოს ზემოთ მითითებული ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნების პირობების დაცვით.

ბუღალტრული აღრიცხვას და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელია საწარმოს ხელმძღვანელობა, რომელიც ქმნის ბუღალტრული აღრიცხვის სწორად წარმოებისა და ანგარიშგების დროულად წარდგენის პირობებს; უზრუნველყოფს აღრიცხვა- ანგარიშგებასთან დაკავშირებულ ყველა დანაყოფის მიერ ფინანსური სამსახურის მოთხოვნების დროულ შესრულებას.

ფინანსური ანგარიშგების შედგენა წარმოებს მოქმედი ინსტრუქციის შესაბამისად და მას ამტკიცებს საწარმოს ფინანსური დირექტორი.

ფინანსური მდგომარეობის უწყისი:	2022	2023
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტი	15,087	4,327
სავაჭრო მოთხოვნები	828,058	2,824,519
მარაგები	1,921,789	2,374,000
სხვა აქტივები		45,319
სულ მოკლევადიანი აქტივები	**2,764,934**	**5,248,165**
გრძელვადიანი აქტივები:		
ძირითადი საშუალებები	258,929	320,176
დაგროვილი ცვეთა		(121,791)
სულ გრძელვადიანი აქტივები	**258,929**	**198,385**
სულ აქტივები	**3,023,863**	**5,446,550**
კაპიტალი და ვალდებულებები:		
ვალდებულებები:		
ვალდებეულება მომწოდებლის მიმართ		878,081
სხვა ვალდებულება	2,426,495	3,584,336
საგადასახდო ვალდებულება		51,189
სულ ვალდებულებები	**2,426,495**	**4,513,606**
კაპიტალი:		
დამფუძნებლის კაპიტალი		363
დაგროვილი მოგება?დაუფარავი ზარალი	597,368	(208,778)
პერიოდის მოგება/ზარალი		1,141,359
სულ კაპიტალი	**597,368**	**932,944**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**3,023,863**	**5,446,550**

სრული შემოსავლების ანგარიშგება	2022	2023
შემოსავალი	6,586,357	7,518,374
რეალიზაებული საქონლის თვითღირებულება	(4,031,041)	(5,079,169)
საერთო მოგება	**2,555,316**	**2,439,205**
ადმინისტრაციული ხარჯები:		
ხელფასები	1,922,084	476,947
სატრანსპორტო ხარჯი		178,257
იჯარის ხარჯი		126,791
ცვეთა და ამორტიზაცია	17,858	22,302
სხვა საერთო ხარჯი	656,318	526,346
სულ საოპერაციო ხარჯი	**2,596,260**	**1,330,643**
საოპერაციო მოგება/ზარალი	**(40,944)**	**1,108,563**
არასაოპერაციო შემოსავალი	-	596,351
არასაოპერაციო ხარჯი	-	(563,555)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი	-	**32,796**
წმინდა მოგება/ზარალი	**(40,944)**	**1,141,359**

სააღრიცხვო სისტემა

ეკონომიკური მოვლენების აღრიცხვისთვის გამოიყენება ორმაგი ჩაწერის მეთოდი.
ბუღალტრული ანგარიშებზე ჩანაწერების შეტანის საფუძველია პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, რომელიც ასახავს ეკონომიკური მოვლენის მოხდენის ფაქტს არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.
საწარმოს ბუღალტერიაში შემოსული დოკუმენტი ექვემდებარება შემოწმებას როგორც ფორმის, ასევე შინაარსის, ცალკეული მაჩვენებლის ლოგიკური და არითმეტიკული სიზუსტის მიხედვით.
ოპერაციები და სხვა მოვლენები ბუღალტრულ ჩანაწერებში აღირიცხება პირველად დოკუმენტებში მითითებული ეკონომიკური მოვლენის მოხდენის თარიღით, და მიეკუთვნება იმ პერიოდის ანგარიშგებას, როდესაც მოვლენას ჰქონდა ადგილი.
საწარმოში ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს საბუღალტრო პროგრამა "ORIS" მეშვეობით".
ბუღალტერია პასუხისმგებელია აღრიცხვასა და ანგარიშგებაში ძირითადი საშუალების მიღებისა და გასვლის ქრონოლოგიურ და თავისდროულ ასახვაზე.
ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების მეთოდია- დარიცხვის მეთოდი.
საწარმოს დაფინანსების წყაროებია- ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები.
კომუნალური მომსახურეობის ბუღალტრულ ჩანაწერებში აღრიცხვა ხდება მისი წარდგენის თარიღით და მიეკუთვნება იმ პერიოდის ანგარიშგებას, რომელ პერიოდშიც მოხდა მისი წარდგენა.
ხელფასის დარიცხვის საფუძვლებია - შედგენილი ტაბელები და უწყისები.
ოპერაციებით განსაზღვრული დრო დგება მაშინ, როცა ხელშეკრულება ხელმოწერილია და ოპერაციის შესაბამისად ხდება ფინანსური აქტივის წარმოშობა ან გაუქმება.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

მოკლევადიან/გრძელვადიან მუხლებად კლასიფიკაცია საწარმო მის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების ასახვისათვის იყენებს მოკლევადიან/გრძელვადიან კლასიფიკაციას. ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება არის მოკლევადიანი თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში;

• საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში მაინც.
ყველა სხვა სახის ვალდებულება მიიჩნევა გრძელვადიან ვალდებულებად.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წარმოდგენილია ბალანსში დებიტორული დავალიანების სახით და ასახავს კომპანიას მიერ გაყიდული საქონლის ან გაწეული მომსახურების სანაცვლოდ კლიენტებისგან მოსაგვარებელ თანხებს. სავაჭრო მოთხოვნები აღირიცხება მათი გაწერის მომენტში, შემოსავლის აღიარების პარალელურად, ნომინალური ღირებულებით. ისინი თავდაპირველად აღირიცხება ანგარიშდამწერლობის დებულებების შესაბამისად, მათ შორის IFRS-ის (ან ეროვნული სტანდარტების) მოთხოვნებთან შესაბამისობაში. ვალუტაში არსებული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშებულია ეროვნული ვალუტის ეკვივალენტში ანგარიშგების თარიღის ოფიციალური კურსით. მიღებული გაცვლითი კურსიდან წარმოშობილი სავალუტო სხვაობები აისახება შესაბამისი მოგება-ზარალის ანგარიშში.

ამონაგები მომსახურების გაწევიდან

საწარმოში ამონაგის დადგენა ხდება დარიცხვის პრინციპით. შემოსავლები აღიარებულია მაშინ, როდესაც საქონელი გაიყიდა ან მომსახურება მიეწოდა დამკვეთს, გადაეცა საკუთრების არსებითი რისკები და სარგებელი, შემოსავლის მიღება სავარაუდოა და თანხის ოდენობა საიმედოდ განსაზღვრულია. **ხარჯები აღიარებულია** იმ პერიოდში, რომელთანაც ისინი პირდაპირ არის დაკავშირებული, ან როდესაც ხდება მათი გაწევა, მიუხედავად გადახდის მომენტისა. ამონაგი (წმინდა მოგება/ზარალი) წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში აღიარებულ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობას. აღრიცხვა სრულად შეესაბამება დარიცხვის პრინციპს და არა ფულად გადახდებს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

ფულადი სახსრები მოიცავს ბანკში არსებულ ნაშთებს, როგორც ლარში (GEL), ასევე უცხოურ ვალუტაში (USD, EUR). საწარმოს სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტებში (უცხოურ ვალუტებში) გამოხატული გარიგებების აღიარება ხდება ამ გარიგებების თარიღებით მოქმედი სავალუტო კურსებით. ყოველ საანგარიშგებო თარიღში, ხდება უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი მუხლების გადაყვანა ამ თარიღით მოქმედი კურსის გამოყენებით. სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს შესულია მოგება ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. საწარმოს არ გააჩნია ნაღდი ფული ან ფულადი სახსრების ეკვივალენტები.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

კომპანია თავის საკუთრებაში ფლობს მარაგებს რომლებიც განკუთვნილია წარმოებისთვის, დაუმთავრებელ წარმოებას და ასევე მზა პროდუქციას. მარაგები თავდაპირველად აღირიცხება მათი თვითღირებულებით რომელიც მოიცავს შეძენის ფასს, ტრანსპორტირების ხარჯებს, საბაჟო გადასახდელებს და სხვა მოსაკრებელს. მარაგების შეფასებისთვის კომპანია იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

გაყიდული მარაგების თვითღირებულება ანგარიშგებაში ასახულია რეალიზებული საქონლის თვითღირებულების ხარჯის ანგარიშში.

კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების კომპონენტები არის პირდაპირი ნედლეული, პირდაპირი შრომა და სხვა არაპირდაპირი ზედნადები ხარჯები. როგორცაა არაპირდაპირი ხელფასები, კომუნალური გადასახდები და ცვეთა.

მარაგების მოძრაობის აღრიცხვა ხდება ავტომატურად ან საბუღალტრო სისტემით. საწარმოს მარაგები შედგება ძირითადად სწრაფად მოსახმარი ნედლეულისა და გადამუშავებისთვის განკუთვნილი მასალებისგან, რომლებიც წარმოების პროცესში მოკლე ვადაში გამოიყენება. გარდა ამისა საწარმო მზა პროდუქციას რეალიზაციას ახორციელებს მოკლე დროში და დიდი ხნით დასაწყობებული მარაგები არ აქვს. ამ გარემოებების გათვალისწინებით, საანგარიშო პერიოდის ბოლოს მარაგების ღირებულება არ საჭიროებდა კორექტირებას, რადგან არ შეიმჩნეოდა მათი მოძველება ან საბაზრო ღირებულების შემცირება. შესაბამისად, მარაგების გაუფასურების საჭიროება არ დადგა.

ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება იმ შემთხვევაში, როდესაც:

- არსებობს ეკონომიკური სარგებლის მიღების მოლოდინი მომდევნო პერიოდებში;
- აქტივის ღირებულება საიმედოდ განისაზღვრება;
- აქტივი გამოიყენება საწარმოს ჩვეულ საქმიანობაში, არ არის განკუთვნილი გასაყიდად და მისი გამოსაყენებელი ვადაა 1 წელზე მეტი.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღირიცხება ფაქტობრივი ღირებულებით, რაც მოიცავს:

- შეძენის ფასს (დღგ-ის გარეშე),
- ტრანსპორტირების, მონტაჟის და მომზადების ხარჯებს,
- განლაგების ან გადატანის ხარჯებს, თუ საჭიროა აქტივის ექსპლუატაციაში შესაყვანად.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ.

მცირე რემონტის ხარჯები აისახება პერიოდის ხარჯებში. კაპიტალური ხარჯები, რომლებიც ზრდის აქტივის ეკონომიკურ სარგებელს ან ახანგრძლივებს სასარგებლო ვადას, კაპიტალიზდება და ემატება აქტივის ბალანსურ ღირებულებას.

კომპანია არ იყენებს გადაფასების მოდელს.

კომპანიაში ძირითადი საშუალება

ძირითადი საშუალებები დაყოფილია ორი ძირითადი კატეგორიის მიხედვით:

- ✓ ოფისის აქტივები – მოიცავს ადმინისტრაციული საქმიანობისთვის განკუთვნილ ქონებას, ტექნიკას და ინვენტარს;

- ✓ წარმოებისა და ქარხნის აქტივები – ქარხნის აქტივები ძირითადად შედგება მცირე ფასის, ხანმოკლე ვადით გამოყენებადი ინვენტარისგან;

ქარხნის აქტივები მოიცავს საწარმოო პროცესში გამოყენებულ მცირე ზომის ინვენტარსა და ინსტრუმენტებს, როგორიცაა:

- ✓ ხელის ინსტრუმენტები,
- ✓ მცირე სამუშო მოწყობილობები,
- ✓ თაროები, სამუშაო მაგიდები, უსაფრთხოების აღჭურვილობა და სხვა დანადგარები.
- ✓

აქტივები:	**პერიოდის დასაწყისისთვის**	**პერიოდის განმავლობაში**	**პერიოდის ბოლოსთვის**
ქარხნის სხვა დამხმარე აქტივები	80,298	(24,561)	50,737
სამღებრო		-	4,890
საშრობი		-	33,994
ჰაერის კომპრესორი AIR COMPRESSOR W-0.9/8 300L 7.5KW 380V (წარ), 000574	3,761	(762)	2,999
CF 75 SPARK - პირდაპირი გაზის გამათბობელი (წარ), 000524	24,177	(4,961)	19,217
საშრობი 3, 000426	5,091	(566)	4,525
გადახურული(ნევესი), 000443	7,909	(1,977)	5,931
ცენტრიფუგა (დიდი) (წარ), 000256	2602.4	(800)	1802.8
ცენტრიფუგა (პატარა) (წარ), 000257	1041.0	(320)	721.2
საოფისე ავეჯი და კომპიტერული ტექნიკა	43,742	(4,872)	28,870
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	49,685	(2,734)	44,697
სულ	***218,307***	***(41,552)***	***198,385***

კომპანიას ბალანსზე აქვს იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობის მიზნით

განხორციელებეული კაპიტალიზებული ხარჯი.

ეს აქტივები არ მიეკუთვნება მძიმე ინდუსტრიულ აღჭურვილობას. მათი შეძენის ღირებულება, როგორც წესი, დაბალია, ხოლო სასარგებლო ვადა — მოკლე (2–5 წელი). აღნიშნული აქტივები აღირიცხება როგორც ძირითადი საშუალებები, თუ აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს (ღირებულება, ვადა, გამოყენების მიზანი).
კომპანიის ყველა აქტივი მდებარეობს ფაქტიურ მიმსართზე.

ცვეთა. ცვეთა გამოთვლება წრფივი მეთოდით. აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადაზე დაყრდნობით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო ვადები განისაზღვრება აქტივის სახეობის, გამოყენების ინტენსივობის და ტექნოლოგიური მახასიათებლების გათვალისწინებით.

ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადები განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივის სპეციფიკიდან და გამოყენების ხასიათიდან გამომდინარე და შეიძლება მერყეობდეს 8 წლიდან 10 წლამდე კომპანიის მენეჯმენტთან შეთანხმებით.

- საოფისე ტექნიკა (მაგ., კომპიუტერები, IT აპარატურა): 5 წელი;
- ავეჯი და ზოგადი ინვენტარი: 5 წელი;

პრაქტიკაში სალიკვიდაციო ღირებულება ძირითადი საშუალებების შეიძლება იყოს განსხვავებული. სალიკვიდაციო ღირებულების მოცულობა დამოკიდებულია აქტივის ტიპზე, მის გამოყენებაზე, ცვეთა-მოხმარებაზე და შესყიდვის ღირებულებაზე. სააღრიცხვო პოლიტიკაში ინფორმაცია სალიკვიდაციო ღირებულების შესახებ მითითებული არ არის და ის განისაზღვრება ძირითადი საშუალების შესყიდვისას კომპანიის მენეჯმეტთან შეთანხმებით. ძირითადი საშუალების სალიკვიდაციო ღირებულების განსაზღვრისთვის განსხვავებული საპროცენტო მაჩვენებლების არსებობას არ ზღუდავს ძირითადი საშუალების აღრიცხვის მოქმედი რეგულაციები. ხშირ შემთხვევაში ვიყენებთ ხოლმე 10%-იან სალიკვიდაციო ღირებულებას.

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გასვლიდან, გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით, სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულების შემდგომ მისი მდგომარეობის გათვალისწინებით.
აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.
გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგების „სხვა საოპერაციო წმინდა მოგებაში“.

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები.
სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს კომპანიის მოვალეობას, რომელიც წარმოიშობა მომწოდებლებისგან მიღებული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ და ჩვეულებრივ არის მოკლევადიანი, არა მეტი, ვიდრე 12 თვე. საწარმო აღიარებს ვალდებულებებს და ხარჯებს დარიცხვის პრინციპით, რაც გულისხმობს აღრიცხვას იმ პერიოდის ანგარიშგებაში, რომელშიც წარმოიშვა ვალდებულება ან ხარჯი, გადახდის დროის მიუხედავად.
მოვალეობები აღირიცხება ნომინალური ღირებულებით, რაც შეესაბამება გადასახდელ თანხას ინვოისის ან ხელშეკრულების ღირებულებას. ვალუტაში არსებული სავაჭრო ვალდებულებები გადაიანგარიშება ანგარიშგების თარიღზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით. სავალუტო კურსების სხვაობა აღიარება ფინანსურ შედეგებში. სავაჭრო ვალდებულებები ჩამოწერება მხოლოდ მაშინ, როცა ვალი გადახდილია, გაუქმებულია ან სამართლებრივად უქმდება კომპანიის ვალდებულება.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადისა და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის შესასრულებლად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს საწარმოს არ ჰქონია ისეთი ვალდებულებები ან ხარჯები, რომლებიც საჭიროებდა ანარიცხის შექმნას. შესაბამისად ანგარიშგებაში არ არის ასახული ხარჯები ან ვალდებულებების ანარიცხები.

საწესდებო კაპიტალი.
კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების მიერ. კომპანიის საწესდებო კაპიტალში ცვლილების შეტანა შეიძლება მხოლოდ კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები.
დივიდენდები აღიარდება, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება გაუნაწილებელი მოგებიდან იმ პერიოდში, როდესაც მოხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში.

მოგების გადასახადი.
მოგების გადასახადი წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში ასახულია არსებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად.

ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა 'აგროსილ' ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები 'აიგროსება' შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე).

საქართველოს საგადასახადო კოდექსით მოგების გადასახადით დივიდენდების განაწილების გარდა იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობით დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.
შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა.
ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს აქტივების მოსალოდნელ გამოყენებას, შეფასებულ ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოზე, სადაც გამოიყენება აქტივი. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორებები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება.
მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები დამოკიდებულია კომპანიის მიერ კონკრეტული მომხმარებლებისგან დავალიანებების ამოღებადობის შეფასებაზე. ძირითადი მომხმარებლის კრედიტუნარიანობა თუ გაუარესებულია ან ფაქტობრივი დეფოლტები შეფასებულზე უფრო მეტია, მაშინ ფაქტობრივი დებიტორული დავალიანება შეიძლება განსხვავებული იქნეს შეფასებულისაგან. თუ კომპანია განსაზღვრავს, რომ ინდივიდუალურად შეფასებული დებიტორული დავალიანება გაუფასურებულია, მიუხედავად იმისა ეს მნიშვნელოვანია თუ არა, ის ამ დებიტორულ დავალიანებას მსგავსი

საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე დებიტორული დავალიანებების ჯგუფს მიაკუთვნებს და ამ ჯგუფს კოლექტიურად შეაფასებს გაუფასურებაზე. კომპანიაში გაუფასურების რეზერვი არ იქმნება, რადგან ასეთი საჭიროება არ არსებობს.

შპს კანოპი (ს/ნ 405434711)

ფინანსური მენეჯერი

ნინო სიხუაშვილი

_____